ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 10-10

"16" იანვარი 2018 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ბ'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულება" დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-102 დადგენილება.

3.დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 22 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – თბილისი) მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს, თბილისის მერიის ობიექტების, თბილისის საკუთრებაში არსებული ბაღების, პარკებისა და სკვერების, თბილისის მერიის და თბილისის რაიონული გამგეობების შენობების უსაფრთხოებას.

2. სამსახურის უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით.

3. სამსახური მოქმედებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ამ დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

4. სამსახური თავისი ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს თბილისის მერიას.

5. სამსახურს აქვს დებულება, ბლანკი, ბეჭედი სამსახურის სახელწოდების აღნიშვნით. აგრეთვე, ამ სტატუსის მქონე სტრუქტურული ერთეულისთვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.

6. სამსახური ანგარიშვალდებულია თბილისის მერისა და თბილისის მთავრობის წინაშე.

7. სამსახურის საქმიანობაზე საერთო ხელმძღვანელობასა და ზედამხედველობას ახორციელებს თბილისის მერი ან/და თბილისის მერის ერთ-ერთი მოადგილე.

8. სამსახურის ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი. N89/24.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს, თბილისის მერიის ობიექტების, თბილისის საკუთრებაში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების, თბილისის მერიის და თბილისის რაიონული გამგეობების შენობების უსაფრთხოებას;

ბ) უზრუნველყოფს თბილისის მერიის ობიექტებში, თბილისში არსებულ ბაღებში, პარკებსა და სკვერებში მუნიციპალური ქონების დაცვას;

გ) ახდენს დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მომზადებას, ანალიზს და თბილისის მერისათვის უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების წარდგენას;

დ) უზრუნველყოფს ოპერატიულ რეაგირებას და კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღებას მუნიციპალური ქონებისა და ობიექტების დაცვის მიზნით;

ე) უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელებას.

ვ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და თბილისის საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 3. სამსახურის უფროსი

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც, თბილისის საკრებულოს თანხმობით, თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი. სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს წყვეტს თბილისის მერი.

2. სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია და უფლებამოსილებას იხსნის თბილისის მერის წინაშე.

3. სამსახურის უფროსი:

ა) წარმართავს და ხელმძღვანელობს სამსახურის საქმიანობას და პასუხისმგებელია სამსახურისათვის დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) მოქმედებს სამსახურის სახელით, წარმოადგენს სამსახურს მესამე პირებთან ურთიერთობაში, ანიჭებს სამსახურის წარმომადგენლობას ცალკეულ პირებს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობისას;

გ) მერს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, სამსახურის მოხელეთა წახალისების, საჯარო მოსამსახურეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების, შვებულების, სამსახურებრივი მივლინების, პროფესიული განვითარების შესახებ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

დ) მოთხოვნის შემთხვევაში შეიმუშავებს და წარადგენს სამსახურის სამუშაო გეგმას და ანგარიშს განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

ე) თბილისის მერს და თბილისის მთავრობას წარუდგენს სამსახურის მიერ მომზადებულ პროექტებს, საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ვ) ამ დებულებიდან და თანამდებობრივი ინსტრუქციებიდან გამომდინარე, ანაწილებს ფუნქციებს და აძლევს დავალებებს სამსახურის საჯარო მოსამსახურეებს; ისმენს მათ ანგარიშებს განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

ზ) უნაწილებს თანამშრომლებს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას, აწესებს კონტროლს მის შესრულებაზე;

თ) კონტროლს უწევს შინაგანაწესის დაცვას;

ი) სამსახურის თანამშრომლებს უქმნის მათი მოვალეობების შესრულებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების დაცვისთვის აუცილებელ პირობებს;

კ) ხელს აწერს სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ სამსახურებრივ დოკუმენტაციას;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

მ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. სამსახურის უფროსის მოადგილეები

1. სამსახურის უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომლებსაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს თბილისის მერი.

2. სამსახურის უფროსის მოადგილეები ანგარიშვალდებული არიან სამსახურის უფროსის წინაშე.

3. მოადგილეებს შორის ფუნქციებს ანაწილებს სამსახურის უფროსი.

4. სამსახურის უფროსის მოადგილეები:

ა) სამსახურის უფროსის დავალების შემთხვევაში კოორდინაციას უწევენ სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას;

ბ) აკონტროლებენ სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებების შესრულებას;

გ) ახორციელებენ თანამდებობრივი ინსტრუქციითა და სამსახურის უფროსის აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს;

დ) ასრულებენ სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს;

ე) კომპეტენციის ფარგლებში ხელს აწერენ ან ვიზას ადებენ მათ მიერ ან მათ საკურატორო სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

ვ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მათთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. სამსახურის უფროსის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის პერიოდში, სამსახურის უფროსის მოვალეობას სამსახურის უფროსის ბრძანებით ასრულებს სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე.

6. სამსახურის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, სამსახურის უფროსის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ბრძანების გამოცემის შეუძლებლობის შემთხვევაში, თბილისის მერის ბრძანების საფუძველზე ასრულებს სამსახურის უფროსის მოვალეობას.

მუხლი 5. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები

1. სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:

ა) ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება;

ბ) მონიტორინგის განყოფილება;

გ) სწრაფი რეაგირების განყოფილება;

დ) ობიექტების დაცვის განყოფილება;

ე) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების დაცვის განყოფილება;

ვ) ბაღების, პარკების და სკვერების დაცვის განყოფილება;

ზ) გამგეობების დაცვის განყოფილება.

2. ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) იხილავს სამსახურში შემოსულ კორესპონდენციას;

ბ) უზრუნველყოფს სამსახურს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

გ) აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას სამსახურის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, ადგენს შესაბამის საცნობარო მასალებს და წინადადებებს;

დ) ამზადებს სამსახურის საქმიანობის ანგარიშს;

ე) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრულყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის აწარმოებს ურთიერთობას თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს დაცვითი ღონისძიებების გატარების და დასაცავი ობიექტის ტექნიკური აღჭურვის დაგეგმარებას;

ზ) ახორციელებს დაცვითი ელექტრონული საშუალებების ტექნიკური მხარდაჭერის ორგანიზებას და/ან უზრუნველყოფას;

3. მონიტორინგის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ახორციელებს სამსახურში შემავალი დანაყოფების საქმიანობის მონიტორინგს;

ბ) სამსახურის უფროსს წარუდგენს ინფორმაციას სამსახურის მოსამსახურეთა მხრიდან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების შესახებ;

გ) ახორციელებს დასაცავ ობიექტებზე დამონტაჟებულ ელექტრონულ დაცვით საშუალებებზე და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებზე მუდმივ დაკვირვებას.

დ) უზრუნველყოფს მუდმივ რადიოკავშირს დასაცავ ობიექტებთან;

ე) 24 საათიან რეჟიმში აღრიცხავს დასაცავ ობიექტებზე არსებულ ვითარებას;

ვ) სამსახურის უფროსს აწვდის ინფორმაციას დასაცავ ობიექტებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ;

4. სწრაფი რეაგირების განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურის სხვა დანაყოფებს უწევს დახმარებას თბილისის მერიის ობიექტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფაში;

5. ობიექტების დაცვის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს თბილისის მერიის ობიექტების, შენობების უსაფრთხოებასა და დაცვას;

ბ) იცავს თბილისის მერიის ობიექტებში განთავსებულ ქონებას;

გ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრულყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის აწარმოებს ურთიერთობას თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან.

6. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების დაცვის განყოფილება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) უზრუნველყოფს თბილისის საკრებულოს და თბილისის მერიის ადმინისტრაციული შენობების უსაფრთხოებასა და დაცვას;

ბ) იცავს თბილისის საკრებულოს და მერიის ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებულ ქონებას;

გ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრულყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის აწარმოებს ურთიერთობას თბილისის საკრებულოსთან, თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან.

7. ბაღების, პარკებისა და სკვერების დაცვის განყოფილება კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს თბილისის ბაღების, პარკებისა და სკვერების უსაფრთხოებასა და თბილისის ბაღების, პარკებისა და სკვერების ქონების დაცვას.

8. გამგეობის დაცვის განყოფილება:

ა) უზრუნველყოფს თბილისის რაიონული გამგეობის შენობის უსაფრთხოებასა და დაცვას;

ბ) იცავს თბილისის რაიონული გამგეობის შენობაში განთავსებულ ქონებას;

გ) თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის სრულყოფილი განხილვა-გადაწყვეტისათვის აწარმოებს ურთიერთობას თბილისის მერიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან.

მუხლი 6. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი

1. სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც, კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს თბილისის მერი.

2. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) წარმართავს სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ სამსახურის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას;

გ) მოთხოვნის შემთხვევაში სამსახურის უფროსს წარუდგენს სტრუქტურული ქვედანაყოფის სამუშაო გეგმას;

დ) ანაწილებს დავალებებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეებს შორის, უზრუნველყოფს სამუშაო გეგმის და სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;

ე) იღებს და აფასებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეების ანგარიშებს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ვ) ამზადებს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ანგარიშებს სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფის მოსამსახურეთა მიერ თბილისის მერიის შინაგანაწესისა და დისციპლინის დაცვას;

თ) დადგენილი წესით აფასებს მოსამსახურეთა საქმიანობას;

ი) ხელს აწერს ან ვიზას ადებს სტრუქტურულ ქვედანაყოფში მომზადებულ დოკუმენტებს;

კ) სამსახურის უფროსს წარუდგენს წინადადებებს მოხელეთა დაწინაურების, წახალისების ან საჯარო მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენების შესახებ;

ლ) სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე, ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსის და სამსახურის უფროსის მოადგილის წინაშე.

მუხლი 7. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები

1. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ახორციელებენ ამ დებულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციით, ხელშეკრულებითა და სამსახურის უფროსის დავალებით განსაზღვრულ ფუნქციებს.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 8. სამსახურის დაფინანსება და ქონება

1. სამსახურის დაფინანსება ხორციელდება თბილისის ბიუჯეტის სახსრებით.

2. სამსახურის მფლობელობაში არსებული ქონება წარმოადგენს თბილისის საკუთრებას.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. სამსახურის დებულებას თბილისის მერის წარდგინებით ამტკიცებს თბილისის საკრებულო.

2. სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სამსახურის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ან/და მისი სხვა სამსახურთან შერწყმა შესაძლებელია განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: პროექტის მიღება განპირობებულია, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა ერთიანი სტანდარტის შემუშავების მიზნით, ზოგადი დებულებანი, სტრუქტურული ერთეულის უფროსების, სტრუქტურული ერთეულის უფროსის მოადგილეების და სტრუქტურული ქვედანაყოფების უფროსების ფუნქციები განისაზღვრება ერთგვაროვნად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის (შემდგომში სამსახური) უფროსს ეყოლება 3 (სამი) მოადგილე, ნაცვლად 4 (ოთხი) მოადგილისა.

სამსახურში იქნება 7 (შვიდი) განყოფილება, ისევე როგორც დღეს. სამსახურის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებით: ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება, მონიტორინგის განყოფილება, სწრაფი რეაგირების განყოფილება, ობიექტების დაცვის განყოფილება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების დაცვის განყოფილება, ბაღების, პარკების და სკვერების დაცვის განყოფილება და გამგეობების დაცვის განყოფილება. ამასთან, ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას და მონიტორინგის განყოფილებას დაემატა გარკვეული ფუნქციები.

კერძოდ, ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას დაემატა კომპეტენციის ფარგლებში დაცვითი ღონისძიებების გატარების და დასაცავი ობიექტის ტექნიკური აღჭურვის დაგეგმარების უზრუნველყოფის და დაცვითი ელექტრონული საშუალებების ტექნიკური მხარდაჭერის ორგანიზების და/ან უზრუნველყოფის ფუნქცია, ხოლო მონიტორინგის განყოფილებას - დასაცავ ობიექტებზე დამონტაჟებულ ელექტრონულ დაცვით საშუალებებზე და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებზე მუდმივი დაკვირვების დასაცავ ობიექტებთან მუდმივი რადიოკავშირის უზრუნველყოფის და დასაცავ ობიექტებზე არსებული ვითარების 24 საათიან რეჟიმში აღრიცხვის ფუნქცია.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული ცვლილებები საფინანსო-ეკონომიკური კუთხით, თუმცა აღნიშნული დამოკიდებული იქნება შესაბამისი საშტატო ნუსხის წარდგენასთან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.